ᲙᲘᲠᲘᲚᲚᲘᲐ 8 ᲘᲕᲜᲘᲡᲘ 1930 წ. № 22 (258) ᲤᲐᲡᲘ 10 ᲙᲐᲞ.

ᲙᲝᲚᲠᲝᲚᲠᲘᲒᲘ

12 563

ᲡᲐᲨᲘᲜᲔᲚᲘ ᲡᲘᲖᲛᲐᲠᲘ

არ ასვენებს, აწამებს ᲙᲝᲨᲛᲐᲠᲣᲚᲘ ჩვენება,
სამუდამოთ გაუქრა ძილი და მოსვენება.

კმაყოფილი

„ჩემს აზრით მთავარი მორიგი ამოცანა ეხლა იმაში მდგომარეობს, რომ გავაძლიერთ ერთ ბრძოლა „მოალილეთა“ წინააღმდეგ რომლებიც კმაყოფილებიან მარტო შეცდომების აღნუსხვით და მათ გამოსწორებისათვის არ ღებულობენ საჭირო რეალურ ზომებს„.

ამხ. ბუხო ლომინაძის სიტყვიდან საქ. კომუნისტურ პარტიის მე-7 ყრილობაზე.

— ვასიკო, ხედავ რა დამართია მაგ ხალხს?

— რა დამართია და „დაკოცხეს“ მაშ, როგორ ეგონათ? ველისის რაიონი ჩვენი მაზრის თვალსაჩინო კუთხეა.

— საკვირველია, რას აკეთებდა დღემდის ეს ხალხი? აკი „ბდღვირი“ აადინეს კონფერენციაზე!

— ე, ჩემო ძმაო, „მამლაყინწები“ არიან და მეტი არაფერი! შენ რომ იცოდე, როგორ „ბაქა-ბუქობდენ“.

ერთხელ მეც ვიყავი მაგათთან. საკონტროლო კომისიის დავალებით ერთ-ერთი ამხანაგის საქმეს ვიკვლევდი. იცი, როგორ დამხვდენ? ვერ წარმოიდგენ. სადგურზე თავი მოეყარათ. პირველი მისასალმებელი სიტყვა რაიკომის მდივანმა წარმოსთქვა, მეორე—რაისაბჭოს თავმჯდომარემ, შემდეგ კიდევ სხვებმაც. ყველანი იმას აღნიშნავდენ, რომ მე უდიდესი დამსახურება მიმიძღვის რევოლიუციის წინაშე, ძველის-ძველი ბოლშევიკი ვარ, ერთი სიტყვით, ჩვენი პარტიის ბელადთ გამომიყვანეს. არ ვიცოდი რა მექნა. სად მე და სად ძველის-ძველი ბოლშევიკი. შემდეგ ვახშამი გაემართათ. მიმიწვიეს. იცი, რა ამბავი იყო იქ? ქების კორიანტელი დააყენეს. აქებდენ ყველას და ყველაფერს. რაიკომის მდივანს და თემსაბჭოს თავმჯდომარეს შეჯიბრი ქონდათ ერომანეთის ქებაში...

აი რაზე ლაპარაკობდენ პარტიის ყრილობის ორი დელეგატი, რომელსაც მესამე, მუშა-დელეგატი, ამხანაგი ვანოც შეუერთდა. ეს უკანასკნელი სწორედ იმ კომისიის წევრი იყო, რომელმაც ველისის რაიონის მუშაობა გამოიკვია. ვანო მათ ლაპარაკში ჩაერია.

— თქვენ ნახევარიც კი არ იცით ველისის შესახებ. ეს რაიონი იშვიათს ფაქტს წარმოადგენს იმისას, თუ როგორ არ უნდა ვმუშაობდეთ სოფლად.

არ იფიქროთ, რომ ადგილობრივი ხელმძღვანელი ორგანოები და პასუხისმგებელი პირები არაფერს აკეთებდნენ!

პირიქით, მთელ მაზრაში ეს რაიონი „მოწინავეთ“ ითვლება თავის „საქმიანობით“, რაც გამოიხატება მხოლოდ და მხოლოდ ღონისძიებების მოწყობაში და სხვადასხვა კამპანიების ზერელე ჩატარებაში. ერთი სიტყვით, აგიტაცია-პროპაგანდა ამ რაიონში თავის სიმაღლეზე დგას. მაზრის საუკეთესო აგიტატორები ველისის რაიონიდან არიან გამოსულნი. სხვადასხვა გადახრებებთან ბრძოლა ამ რაიონში დიდი ამბებით ტარდებოდა. თვითკრიტიკის ხაზითაც არ გამოუჩენიათ „უმოქმედობა“ ველისელებს... შეცდომებს არ მალავენ, მაგრამ მათი გამოსწორებისათვის „თითზე თითს“ არ ადებენ. კოლექტივიზაციის საქმეში ხომ ხსენებულმა რაიონმა გადაუჭარბა ყველაც. რამდენიმე დღის განმავლობაში ველისში მთლიანი კოლექტივიზაცია გამოაცხადეს და ყველაფერი გაერთიანეს.

არ გასულა დიდი დრო, რომ ველისისის რაიონის მთლიან კოლექტივიზაციაზე გადასვლა მიზანშეწონილად არ იქნა ცნობილი... მაშინ ველისის „ხელმძღვანელებმა“ ისეთი ტემპით დაიწყეს უკან დახევა, რომ კოლექტივიზაციის „ბურდღაც“ არ დარჩებოდა, რომ ადგილობრივ მშრომელ გლეხობას თვითონ ხმა არ ამოეღო..

აღსანიშნავია მხოლოდ ის, რომ ველისელი ამხანაგები ისე კმაყოფილებით ანგრევდენ კოლექტივს, როგორც აშენებდენ მას....

ცხადია, ამ კმაყოფილ ხალხის მოქმედებას პარტია კმაყოფილებით ვერ შეხვდებოდა. **უუმბარა.**

პილსუდსკი „ჰუმანიზმი“

პოლონეთში გამოიგონეს „ჰუმანიური“ ყუმბარა, რომელიც ადამიანს მხოლოდ ატირებს და არა ჰკლავს.



პილსუდსკი: — ჩვენ არა ვართ ბარბაროსები,— სიკვდილის წინ მოწინააღმდეგეს თავისთავზე ვატირებთ, თავს გამოვატირებინებთ... განა ამაზე მეტი ჰუმანიზმი შეიძლება?!

მაკდონალდი (შექსპირს): — ჰე, ნეტავი ცოცხალი იყო! შენ ერთი მაინც გაიგებდი ჩემს გაჭირვებას და ტრაღედიას დასწერდი ჩემზე!

მაკდონალდის მონოლოგი

სიტყვა შექსპირს

სახელოვანო და დიადო მამულიშვილო,
ნეტავ ცოცხალი იყვე ეხლა ჩემდა ნუგეშად.
მხოლოდ შენ ერთი ჩასწვდებოდი ჩემს გაჭირვებას
და ტრაღედიას ყველაზე მჯობს შეთხზავდი ჩემზე.

შენი გმირები სათითაოდ ჩემში არიან...
მე ბრიტანეთის **იულიოს კეისარი** ვარ.
მას მორჩილებდა უამრავი სხვისი ქვეყნები,
სადაც ჩემსავით მასაც ჰყავდა ელჩ-ემისრები;
მასაც ჰმონებდა, ვითარცა მე, ოდეს ეგვიპტე,
რომელს მართავდა **ანტონიოს**, კეისრის კაცი,
და დედოფალი კლეოპატრა იყო ტიკინა,
ვით დღეს ასეთი ჩვენთვის არის ეგვიპტის „მეფე".
მაგრამ შეგვერყა ეგვიპტეში ჩვენ ძლიერება.
დღეს თუ არა,—ხვალ პანლეურს გვკრავენ, გამოგვრეკ-�.
გახვეულია ცეცხლის ალში თვით ინდოეთიც.
დაგვცხეს და დავსცხეთ. მსხვერპლი არის ორივე მხარეს.
როგორც კეისრის ძველი რომის მზე ჩაესვენა,
დაემხო რომის ტირანია და ძლიერება,—
ვსჭვრეტ ასეთივე ბედი ელის ჩვენს ბრიტანეთსაც.

მეფე ლირი ვარ ყველასაგან აბუჩად-გდილი.
თავში მირტყამენ ვისაც უნდათ, არ ეზარებათ:
კონსერვატორნი, ლიბერალნი და თვით ჩემებიც.
ყველასთვის ეზრუნავ, მინდა ყველას ვასიამოვნო,
მაგრამ რატომღაც არ გამოდის გულის წადილი..
არ იქნა. მაინც ვერ ვისწავლე ამდენხანს ჭკუა.

მე **მაკბეტი** ვარ... ბევრი სისხლი იღვრება ჩემს დროს,
რომელს ქვეყანას შევატყობ, რომ სწადს გადგეს ჩვენგან
სულ გადავბუგავ ზარბაზნებით და მხრჩოლავ გაზით.
აქ რომ ჩავაქრობ აჯანყებას, იქ კიოავ იფეთქებენ,
და მოსვენება აღარ არის ერთი წამითაც.

მე **ჰამლეტი** ვარ... ხშირად მიდგას „ყოფნა, არ ყოფნა?"

მე **ოტელო** ვარ.... მეც მასავით მეტყვიან ალბად:
„აღარ გეჭირიხართ, შეგიძლიათ აწი მიბრძანდეთ",
მისებრ დავკარგე სამუდამოდ სულის სიმშვიდე.
მისებრ მოვიწევს პარლამენტში გამოსვლა და თქმა:
ვიღრე გამომცვლით და წამართმევთ პრემიერობას,
კონსერვატორნო, მათქმევინეთ ეს ორი სიტყვა:
თვითონაც იცით: ბრიტანეთის სახელმწიფოსთვის
თქვენზე არ-ნაკლებ სამსახური გამიწევია,
მაგრამ ამაზე არ-რას ვამბობ.. მე გთხოვთ მას მხოლოდ,
ნუ შეურაცხმყოფთ: თითქოს ვიყო სოციალისტი;
ცილს ნუ დამწამებთ: იცადეთ მუშათა კლასსა.
სთქვით—იცოდა-თქვა სახელმწიფოს გაძღოლა-მართვა,
თუმც არა-ბრძენული, საშვალოდ მაინც.
სთქვით—იცოდა-თქვა სიყვარული მეფის ჩვენისა;
ეს ყველაფერი აცნობეთ მას და დაუმატეთ,
რომ ერთხელ როცა პრემიერად იყო წარსულში
მან მაშინაც-თქო დაამტკიცა თვისი კაცობა.
სახელოვანო და დიადო მამულიშვილო,
ნეტავ ცოცხალი იყვე ეხლა ჩემდა ნუგეშად.
მხოლოდ შენ ერთი ჩასწვდებოდი ჩემს გულის სიღრმეს
და ტრაღედიას უსაშინლესს შეთხზავდი ჩემზე.

ისელი.

განზრახვა თუ „განძრახვა“

ჩვენ ტიტე,
 რედაქტორი,
კარგი ბიჭი,
წერისა თუ
 ხვა ასეთის
შეხწევს ნიჭი!
ის ცოდნასაც
 რომ იჩემებს,
ენის ცოდნას?
არ დაგითმობ,
 ამ ცოდნაშიც
აღგილს ოდნავ!
შედაგება
 თუ ხვა მსგავსი
ხად გაგივათ?
ტიტეს აზრი
 სჩანს უდაო
ცოდნის ხვივათ!
(თქვენ კი ამ „ხვივს“
ხვრეტთ, ვერ სძლებთ და
ბული გტკივათ!)
ამას წინად...
 რაღა წინად
ან რა უკან?
თუ კი ტეტას
 გეზეთში თქვენ
თვალს ჩაუკრავთ,
თითქმის ყოველ
 მის ნაწერში
ცოდვას ნახავთ.
მხოლოთ ცოდვის
 თქვენ მხელას ნუ
განიზრახავთ,
რადგან...
 რადგან
 თქვენი მხელა,
თვით მთის ხელა,
თუ ამ ნათქვამს
 ჰყავს მსმენელი
ჭკუა - თხელი,
რაც ტიტეზე
 გამოჭრილი
არს ამ ხელად,
არ ცოდნათ და
 ცოდვათაც თვით
ჩაგეთვლებათ!
(ჩემი რომ არ
 დაიჯერეთ,
აგრეც გხვდებათ!)
ჰო, ტიტეს თქვა,
 ამას წინად
დაებეჭდა...
თვალი სწვდა და
 გონს ეოცა,
ბულს დაეჭვდა:

„მართალია
 ეს ნაბეჭდი
ამ გაზეთში,
თუ ნახშირით
 მტვირთავს ის და
მდენის წყნეთში?!“
და აღმოჩნდა,
 რომ ნამეტან
ერთგულების
ჩენა სურდა რა
 ტიტეს, გმირს
ერთ თქმულების,
აზრი ერთ-ერთ
 ხელისუფალ
ორგანოსი,
როგორც თეშა,
 აქტიური,
ამ ცხელ დროსი,
მას „განძრახვა“-ს
 გაეჭრელნა
თავის წერილში..
არ დაეჭვდეთ
 თქვენ ტიტეს ამ
მორიგ წვლილში!
ეს — გაზეთი!...
 ეს — ნომერი!..
ეს — სტატიაც!..
დანარჩენი,
 გთხოვთ, სულგრძელად
მაპატიოთ!
მხოლოდ ტიტეს
 კი შევკადრებ,
მე — რედაქტორს:
„მრწამს, რომ ტემპით
 ჰხამს დღეს ჰგავდე
კაცი ტრაქტორს
და უამირებს
 ჩელტო-ბეტოთ
სჭრიდეთ, სთლიდეთ,
მხოლოდ ნატკეპნ
 გზა-ბილიკს, გთხოვთ,
გაუფრთხილდეთ!
თორემ „ზრახვა“
 თუ „ძრახვა“-ში
 აურიეთ,
ეს წერა და
 ეს ბეჭდვა სა-
დაურია?!
ერთგულებაც
 მე ასეთი
მოღირს ხახვათ
„ძრახულ“ ზრახვას“
 კი ვკითხულობ
ქვენა-ზრახვათ!

ჰაზირა.

სანდრო შანშიაშვილსა და იოსებ მჭედლიშვილს ერმანეთში დავა აქვთ ოპერის „თქმულება შოთა რუსთაველზე“ ლიბრეტოს შესახებ.

შოთა: — მე თუ თავს არ ვუმველე, ესენი თქმულებას კი არა, — „ვეფხის ტყაოსანსაც“ დამავიწყებენ!

„გ ა ნ ა ჩ ე ნ ი“

არიან ისეთი მსაჯულები, რომლებიც სავსებით ამართლებენ კრილოვის ერთ-ერთ არაკის შინაარსის მნიშვნელობას.

ამას ნათლად ამტკიცებს ტფილისის მეხუთე უბნის სახალხო სასამართლოს ერთ-ერთი „განაჩენი“, რომელიც გამოტანილია მოსამართლე კაპანაძის თავმჯდომარეობით.

საქმე ეხება ბრალდებულ არტემ ნადარეიშვილს, რომელსაც უჩივოდა მისი მეზობელი ა. მ.-ძე ფიზიკურ შეურაცყოფისათვის. ნადარეიშვილი და მ-ძე ორივე რკინისგზელებია, როგორც გაზეთ „კომუნისტის-“ს 1923 ნომერში და გაზეთ „მუშა“-ს 174 ნომერში მოთავსებულ და გაუბათილებელ წერილებიდან სჩანს, არის სპეკულიანტი, კონდრაბანდისტი, რომელიც სპეკულიანტურ მიზნებით შეიპარა რკინისგზის ორგანიზაციაში მეისრის თანამდებობაზე, სარგებლობდა ბოროტათ რკინის გზის ბილეთით და გაბა კავშირი მოსკოველ და ბათომელ კონტრაბანდისტებთან. ნადარეიშვილს სახლშიაც დაუჭირეს კონტრაბანდა საქონელი (ტყავები), რისთვისაც ის საქონლის კონფისკაციასთან ერთად დაჯარიმებული იყო ტფილისის საბაჟოს მიერ.

როგორც სასამართლოს მასალებიდან სჩანს, მ-ძე და ნადარეიშვილი მეზობლებია: ერთ სახლში სცხოვრობენ და გაუთავებელი კინკლაობა აქვთ. ერთ-ერთ „შელაპარაკების“ დროს მ-ძეს უწოდებია ბრალდებულისთვის სპეკულიანტი და საბუთად მოუყვანია ზევით დასახელებულ გაზეთებში („მუშა“-ში და კომუნისტში“) მოთავსებული წერილები ნადარეიშვილის შესახებ. საპასუხოთ ნადარეიშვილს სახეში სილა გაურტყამს მოპირდაპირისთვის კეტიც მოუშველებია.

საქმე განიხილა ტფილისის 5 უბნის სასამართლომ მოსამართლე კაპანაძის თავმჯდომარეობით, რომელმაც

„რაციონალიზაცია“

ტფილისის სადგურის კანტორაში რაციონალიზაციის ჩატარების შემდეგ ისეთი სივიწროვეა, რომ თანამშრომლებს მობრუნება უჭირთ. ამავე დროს გამგეებს ვეებერთელა ოთახები უჭირავთ კაბინეტებად.

ლიაპისი.



ᲒᲐᲛᲒᲔ: — ტყვილად მეშინოდა რაციონალიზაციის გატარების.. კარგი ყოფილა, საკუთარი კაბინეტი მაქვს!

გამოიტანა მეტად „ბრძნული“ და სამართლის წარმოების ისტორიაში „აღსანიშნავი,“ „განაჩენი“.

მოგვყავს ამონაწერი.

ᲒᲐᲜᲐᲩᲔᲜᲘ:

„1920 წ. 4 მაისს, ტფ. მე-5 უბნის სახ. სასამართლომ, სახ. მოსამ. **ᲙᲐᲞᲐᲜᲐᲫᲘᲡ** თავმჯდომარეობით, განიხილა საქმე ბრალდებულ არტემ ნადარეიშვილის.... ბრალდებულს **ᲒᲐᲣᲠᲗᲚᲐᲛᲡ** ხელი სახეში. ხელის შემოკვრა ბრალდებულის მიერ იყო გამოწვეული, დაზარალებულის დამამცირებელი სიტყვით, **ᲠᲘᲡ ᲒᲐᲛᲝᲪ** ბრალდება, რომელიც არის გათვალისწინებული ს.ს.კ. 174 მუხლის მიხედვით ჩაითვალოს დაუმტკიცებელი!..*)

დიდებულია!

საუცხოვოა! განაჩენიც ასეთი უნდა!

უკეთესი ლოღიკა კაცმაც შეარცხვინოს!

აბა რა სჯობია კაპანაძისებურ მსჯელობას?! ის სრულ რევოლიუციას ახდენს საბჭოთა კანონმდებლობაში.

კაპანაძე, როგორც ჰგავს — უებარი „მატერიალისტ-დიალექტიკოსია“. კამპანიამ „აღმოაჩინა“, რომ მოვლენათა შორის მუდმივი მიზეზობრივი კავშირი არსებობს, ესე იგი არ არსებობს არავითარი მოვლენა მის გამომწვევ მიზეზების გარეშე. ამ კანონს სასამართლოს პრაქტიკაშიც შესაფერი „გამოყენება“ უნდა. მისი კაპანაძისებური „გამოყენება“ კი ავსებით „აყირავებს“ საბჭოთა კანონმდებლობას და განსაკუთრებით სამართლის წარმოების საქმეს.

ვთქვათ, კაპანაძის ნაცნობ მეისრეს შეცივდა და რკ. გზის მთავარ სახელოსნოს ცეცხლი წაუკიდა.

როგორ განაჩენს გამოიტანს მის შესახებ კაპანაძე? ალბად, ასეთს:

„...სასამართლომ განიხილა საქმე ბრალდებულ პეტრიძის შესახებ... პეტრიძეს გადაუწვამს მთავარი სახელოსნო... ვინაიდან გადაწვა გამოწვეული იყო იმის გამო, რომ გადაწეის ღღეს ცივი დარები იდგა, ბრალდება, რომელიც გათვალისწინებულია ს.ს.კ. № მუხლის მიხედვით, ჩაითვალოს დაუმტკიცებლათ (უკაცრავად... დაუმტკიცებელი)“ და სხვა.

ასეთსავე განაჩენს გამოუტანს კაპანაძე ჭურდებს, ყაჩაღებს, კაცის მკვლელებს და სხვა.

მაგრამ კაპანაძის მსგავს „კოპერნიკებს“ თავის ეპოქაში „ვერ აფასებენ“ და ალბად სულ სხვაგვარ განაჩენს გამოუტანს კაპანაძეს სასამართლოს ხელმძღვანელი ორგანოები.

ᲛᲔᲓᲣᲖᲐ.

---

*) თუ დაუმტკიცებლად?

მ. ზა.

შურისძიება

— ეხლა, გაწმენდის შემდეგ, რა თანამდებობას ირჩევი, ჩემო ნესტორ?
— გამწმენდ კომისიის თავმჯდომარეობას იმ დაწესებულებაში, საიდანაც მე გამწმინდეს.

„ტარტაროზ“-ის შემდეგი ნომერი
(სპეციალური. უოფა-ცხოვრებაზე)
გაიყოფა 22 ივნისს

ადგილკომის „ანგარიში“

ადგილკომის თავმჯდომარე გრძნობდა იმ უხერხულობას, რომელიც მას საპროფკავშირო ანარიცხების დაგალიანებასაგით დააწვა. იგი ვეღარ ეტეოდა თავის პასუხისმგებელ კანში და როგორც კავშირის ცირკულიარს, ისე გაურბოდა მასთან შესულ ბრიგადის წევრებს.

ათასნაირ დირექტივებში იყო გართული ადგილკომის პ.-მ.. მდივანი, როცა მას ბრიგადა წამოადგა თავს და მოისურვა ადგილკომის საქმიანობის გაცნობა.

გამოურკვეველია, რაზე ლაპარაკობდენ ისინი მთელი ორი საათი. ცხადია ერთი რამ, რასაც თავისი საკუთარი წყვილი ყური წაკრა შიკრიკმა. მან აშკარად დაინახა ბრიგადის ხელმძღვანელის ჩაცნეული ხელი და აშკარად გაიგონა მისი სიტყვები:

— არა ძმაო, ამ ადგილკომის ალბათ ტყავიც აღარ გამოდგება საანგარიშო კრების შემდეგ...

მოვიდა დღე და საანგარიშო კრებაც შესდგა.

— ადგილკომის მუშაობა, ამხანაგებო, მიმდინარეობდა მე და მდივნის გადაწყვეტილებებისა და დირექტივების შესრულების გაშლილი დროშის ქვეშ, — ასე დიწყო ადგილკომის თავმჯდომარემ, — მართალია, თუ გადავხედავთ ჩვენი მუშაობის შედეგებს, აშკარად დავინახავთ, რომ სრული თავბრუდახვევია: გაიზარდა შრომის ნაყოფიერება, შემცირდა გაცდენები, განმტკიცდა შრომის დისციპლინა და კანცელიარიის მუშაკებიც დაირაზმენ გამგის ირგვლივ...

ცალკე საამქროების მიხედვით შემდეგი მდგომარეობაა: გამგის კაბინეტი მოწყობილ იქნა ახალი ავეჯით და დაიდგა საკმაო დამატებითი ავტომატიური ტელეფონის აპარატი. საგრძნობლად გუმჯობესდა გამგის მოადგილის კაბინეტიც; საქმეთა მმართველისათვის შეძენილია ახალი საწერი მაგიდა, მოწყობილი საკანცელარიო სიტყვის უკანასკნელი ტეხნიკის მიხედვით; დაწინაურებული მუშისთვის განზრახულია სკამისი შეძენა. დასაჯდომათ, რადგანაც კაცს მთელი დღე ფეხზე დგომა უზდება, თუმცა მას, როგორც შიკრიკს, სკამი მაინც არ ეკუთვნის. განზრახული გვაქვს ამავე დაწინაურებულს შეუქმნათ ამხანაგური ატმოსფერა და მიმოსვლის პირობები, რისთვისაც ბიუჯეტში შეტანილია სპეცლაშჩისა და სასპორტო ფეხსაცმელების შეძენა, რაც უსათუოდ ასწევს სიარულის სისწრაფეს.

დიდია მიღწევები სატარიფო - ეკონომიურ დარგშიაც. ჩვენ ვებრძვით ადმინისტრაციას, რომ ადგილი არ დაურჩეს ხელფასის უთავბოლოთ მომატებას მოლარისა და ბუჰგალტრისათვის, რადგანაც ისინი, როგორც გავიგეთ, ისედაც საკმაოდ ქაფვენ გამოსარჩენის ნიშან ქვეშ.

საგრძნობი მონაპოვარია ის, რომ ჩვენ განზრახული გვაქვს მოველაპარაკოთ ადმინისტრაციას, მოაწყოს ხელის დასაბანი თანწამშრომელთათვის, საპნით — „ბუკეტ მაეი ბაბუშკი“ და პირსახოცით, ისე რომ ზოგა (ეშმაკური ღიმილით) თუნდაც ჩვენს ხავნოზს, რომელიც პირის დაბანას შინ ვერ „ასწრებს“, პირის დაბანის საშუალებაც ექნება. ოღონდ ამხანაგებო, გაგრთხილებთ, რომ ადგილი არ უნდა ექნეს საპნის უთავბოლოთ ხმარებას, რადგანაც თქვენ იცით, რომ საპონი „ბუკეტ მაეი ბაბუშკი“, ანუ ბებია ჩემის ბუკეტი, ძვირფასი საპონია... სხვათა შორის, ჩემი ცოლი მაგ საპონს ხმარობს თავიდანვე და საუცოოთ ადგება პირს, ოღონდ ესაა, რომ სული ზოგს არ ძალსწონს. მე რომ მკითხოთ, მარწყვის საპონი მირჩევნია, თუმცა ზოგიერთი, დუშისტობრონი საპონი რომ არის ეკვს შაურიანი, ისის ამჯობინებს. ესეც გემოვნების საქმეა: მაგალითად, ბიძა ჩემის ცოლის დას ბოდლო საპონი თუ არ მიართვი, ზედაც არ შეგიხედავს. ყოველ შემთხვევისათვის, ამხანაგებო, მე კენჭს უყრი: აბა, ვისაც „ბუკეტ ბაბუშკი“ გარჩევნიათ, გთხოვთ ხელი ასწიოთ... სხვათა შორის, პირის საბანი საპონი ახლაც მოიმარაგეთ სახლშიაც, თორემ მერე იქნებ არც დარჩეს... ასწიეთ ხელი!..

მომხსენებელი ისე გაიტაცა საპნების ასორტიმენტმა, რომ კრების აღმფოთება ვეღარ შეამჩნია და მხოლოდ თავმჯდომარის ენერგიული მოწოდების შემდეგ განაგრძო სიტყვა.

— ამ მიღწევებთან ერთად, ამხანაგებო, ჩვენ გვქონდა შეცდომებიც. პროფბაზით. ყველაზე უხეში შეცდომა იყო ის, რომ ჩვენ კულტფონდიდან ჩაის მოწყობისათვის გამოყოფილი თანხით შევიძინეთ თხელი ჭიქები, რომლებიც უკვე დაიმტვრა მთელი ასი პროცენტით. საქმე შემდეგშია: ჩაის სმის დროს ჩზუბი მოვიდა ორ ჩვენს მუშაკს უბრალო მიზეზის გამო: ერთი ამტკიცებდა, რომ ჩაის ჭიქებით ღვინის სმა ბარბაროსობაა, ხოლო მეორე გაიძახოდა, რომ ბარბაროსობა არის ყანწი, რომლიდან ჩვენ სწორედ ჩაის ჭიქებზე უნდა გადავიღეთ. ამაზე ატყდა ჩხუბი (ორივე ნასვამი იყო სამსახურში მისული) და ჭიქებიც დალეწეს... დიაღ, შეცდომა იყო ჭიქების იყიდვა; ჩვენ რომ თიხის ფინჯნები გვეყიდა, ისე ადვილათ ვერ გასტეხდენ და ჩაი ახლაც გვექნებოდა!

— გეყოფათ, გეყოფათ! — წამოიძახა ალეშფოთებულმა ბრიგადის ხელმძღვანელმა, — ყველაზე უხეში და დიდი შეცდომა ყოფილა ის, რომ შენისთანა კაცი აურჩეიათ ადგილკომის თავმჯდომარეთ. მე წინადადებას ვიძლევი დავშალოთ ადგილკომი და სრულებით ახალი ავირჩიოთ.

ბრიგადის წინადადება ერთხმად მიიღეს.

— ვიცოდი ასე იქნებოდა, — წასჩურჩულა ადგილკომის თავ-რეგ საქმის მწარმოებელს, — ეგენი საზოგადოებრივ მუშაობას დაგიფასებენ? სხვებმა ჭიქები დაამტვრიეს, პასუხს მე მოხოვენ, ეგ არის კანონი?..

მდივან აზრადაც მოსცელია, რომ ჭიქები აქ არაფერ შუაშია.

ალლარ-ალლარსან.

გამოტყდა

— ყოველდღე თრობა გაგონილა სადმე?
— მხოლოდ ერთხელ დავითვერი მთელ ჩემს ცხოვრებაში.
— ვერ ჩაჯექი ეტლში და სახლში ვერ წადი?
— ყოველთვის მახე ვიქცეოდი, მაგრამ დღეს დამავიწყდა!

მიმხვდარი

ზალი (აფხაზეთი)



— რა არის, რომ ამ ჩვენს ყარაულს თოფი ტანზე მიუკრავს?
— ამას წინედ სადარაჯოზე ჩამოსძინებოდა და თოფი მოჰპარეს...
ეშინია — კიდევ არ შეემთხვას ასეთი ამბავი.

ჭიათურა

უცბათ მუშკოოპის წითელ სასადილოდან ხმაურობა და ყვირილი მომესმა.

მივედი.

სასადილოს გამგე ფუტკარაძეს (დაწინაურებული მუშაა) ყბების მაკეს უკეთებდა კომკავშირელი ნიჟარაძე; თავადიშვილურ სისხლის დულილის გამო, აზვირთებულიყო და ხელჩართული ომი გაეჩაღებინა.

„დამკვრელი ბიჭი“ გამგიდან სასადილოს ფანჯრების მტვრევაზე გადავიდა.

ვეღარ გაუძელი ამ სანახაობას და აფთიაკისაკენ გავქუსლე, ყელის ტკივილის წამლის მისაღებათ (წინაწარ მქონდა შეკვეთილი).

მივიღე აფთიაქში წამალი.

გზაში შემხვდენ მილიციელნი, რომლებსაც მიჰყავდათ „დამკვრელი“ ნიჟარაძე.

როცა სახლში მივედი, რეცეპტი წავიკითხე. ეწერა: „ყელში წასასმი“.

ბევრი ფიქრის შემდეგ, მეც ავიღე და ყელში ჩავისვი შიგნიდან.

ტკივილმა იმატა. მეორე დღესვე ექიმთან მივედი რჩევისათვის... თურმე წამალი გარედან უნდა წამესვა ყელზე. აფთიაქში კი შეცდომით ასე დააწერეს: „ყელში წასასმათ“.

წამოვედი.

„დამტრუმელი“ ბიჭი თვის ამქრებში ხელიხელ გაყრილი მისეირნობდა და უამბობდა მათ გუშინდელ „საგმირო საქმეს“.

შაკო.

ტეზნიკუმის შენოგა

დიდი-ჯიხაიში

რა დღე იყო, რა საათი,
საძირკველი ჩამეყარა!
ლუკიანეს და გოგიას
შავი ჭირი შეეყარა.

იმათ მიყვეს ეს საქმენი,
გადამკიდეს ხათაბალას,
ცხრა საყდარი დაანგრიეს,
მიმართავდენ ხშირად ძალას.

დაბეგვრას და ფულთ აკრეფას,
აღარ ჰქონდა ანგარიში;
ათასობით დაიხარჯა
საძირკველის მარტო ძირში.

მაგრამ მაინც აშენება
არ მეღირსა, არა, არა.
გადის ათი წელიწადი,
მომანდომეს ქვეყნის ფარა.

როცა იმათ მიმატოვეს, —
ესობს, ვიქტორს ვერგე წილათ,
ბარგი დღე არ დამაყარეს,
რადგან იყვენ ორივ წყვილად.

მათაც დიდხანს მიხლაფორთეს,
ფულსა ჰკრეფდენ წარამარა,
მაგრამ მაინც ვერ ავშენდი,
გულზე სევდა წამეფარა.

ესენი რომ ჩამომცილდენ,
ვასილს ვერგე წილში ახლა;
თოთხმეტ ათას მანეთითა,
მან შენობა განაახლა.

დაიხარჯა, ვერ ავშენდი...
გლეხი მიცქერს ალმაცერად,
და აწ ჩემი აშენება
სოფლად არვის არა სჯერა.

„კოკოლა ბიჭი“.

ზოგიერთი მოწაფე

საღამოს უამზე, როდესაც მთვარე
ცაზე დაჯდება ახმახ ბატივით,
როცა გაშლილი ტფილისის არე
ზაჰესის შუქზე წვება ლანდივით,
ის ამის შემდეგ უგზოთ და უკვლოთ,
ღმა და დაღმა იწყებს ხეტიალს;
თან გულში ამბობს: „რა ვქნა, რა ვუყო
ცაცის ცხოვრება დღეს ასეთია“.
ბერე ფანჯრის წინ ჩაუვლის ნინოს,
დაზვერავს — არის თუ არა სახლში.
ხელში დაიჭერს „რეკორდ“ პაპიროსს
და შეუპოვრად აბოლებს გზაში.
მომცინარ სახით ცოტა ხნის შემდეგ
წამოეწევა „დუშკა“ ნინიჩკა.
გამოეწყობა კეფის ყურამდე
შემოკრეჭილი ლამაზი „სტრიეკა“.
ჩუმის ღიღინით გაჰყვება უკან,
რომელ კინოში შევა—მას ელის.
გამარაზებული ხან ტაშს შემოკრავს,
ხან გასაგონად ლეკსებს უმღერის.
სახლში რომ მივა შუა ღამისას
ეტყვის: „ვიყავი სამეცადინოთ“...
თუ ასე არა, გარდა ამისა—
ღმა და ლანძღვა რით აიცდინოს?!

ანზინირა.

მიღწევა რკინის გზებზ



აი, შემთხვევა, როცა საჭიროა

ᲛᲔᲠᲒᲔᲚᲘ ᲜᲝᲛᲔᲠᲘ ᲒᲐᲛᲝᲕᲐ 22 ᲘᲕᲜᲘᲡᲡ

ᲞᲣᲗᲐᲘᲡᲘ

ᲐᲛ ᲐᲛᲑᲘᲡ მᲝᲛᲥᲛᲔᲓᲘ ᲞᲘᲠᲘᲑᲘ ᲐᲠᲘᲐᲜ: **Გ. ᲯᲐᲜᲔᲚᲘᲫᲔ, Დ. ᲒᲝᲒᲝᲡᲕᲐᲜᲘᲫᲔ, Ტ. ᲒᲠᲘᲒᲝᲚᲐᲨᲕᲘᲚᲘ** და მათი ამᲯრები.

შემოაკლდათ ფული და გაუბდათ თავᲘ ᲡᲐᲤᲮᲐᲜᲘ.

მᲐᲒᲠᲐᲛ თავის ᲤᲮᲘᲚᲘᲡ რას უშველის უფუᲚᲝᲑᲐᲡ?!

ᲑᲔᲕᲠᲘ ᲛᲘᲤᲘᲥᲠᲔᲡ თუ ᲪᲝᲢᲐ ᲘᲤᲘᲥᲠᲔᲡ, ᲤᲣᲚᲘᲡ ᲬᲧᲐᲠᲝ ᲛᲐᲘᲜᲪ ᲕᲔᲠ ᲐᲦᲛᲝᲩᲘᲜᲔᲡ.

ᲘᲡ ᲘᲧᲝ ᲡᲠᲣᲚᲘᲐᲓ ᲓᲐᲪᲐᲠᲒᲔᲡ ᲤᲣᲚᲘᲡ ᲨᲝᲕᲜᲘᲡ ᲘᲛᲘᲓᲘ, ᲠᲝᲛ ᲔᲠᲗᲛᲐ ᲛᲐᲗᲒᲐᲜᲛᲐ (ᲡᲐᲮᲔᲚᲘ ᲐᲠ ᲛᲐᲮᲡᲝᲕᲡ) ᲐᲪᲣᲢᲐᲪᲘᲔᲑᲘᲗ ᲬᲐᲛᲝᲘᲫᲐᲮᲐ.

— ᲐᲠᲘᲡ! ᲐᲠᲘᲡ!

— ᲠᲐ ᲐᲠᲘᲡ? — ᲨᲔᲣᲙᲘᲗᲮᲔᲜ ᲓᲐᲤᲔᲗᲔᲑᲣᲚᲘ ᲐᲛᲮᲐᲜᲐ�გᲔᲑᲘ.

— ᲤᲣᲚᲔᲑᲘ... ᲛᲮᲝᲚᲝᲓ ᲛᲣᲨᲐᲝᲑᲐ ᲓᲐᲭᲘᲠᲓᲔᲑᲐ ᲪᲘ...

— ᲔᲰ, ᲡᲗᲥᲘ ᲠᲘᲩᲘ. ᲛᲣᲨᲐᲝᲑᲘᲗ ᲐᲚᲑᲐᲗᲘᲡᲐᲪ ᲙᲘ ᲨᲝᲣᲚᲝᲑᲡ ᲤᲣᲚᲘᲡ- — ᲨᲔᲣᲠᲘᲜᲔᲡ ᲐᲛᲧᲠᲔᲑᲛᲐ.

— ᲤᲘᲖᲘᲙᲣᲠ ᲛᲣᲨᲐᲝᲑᲐᲖᲔ ᲐᲠ ᲕᲚᲐᲰᲐᲠᲐᲙᲝᲛ, ᲐᲛᲮᲐᲜᲐ�გᲔᲑᲝ, „ᲒᲐᲘᲛᲐᲡᲙᲜᲔᲑᲐᲡᲐᲪ“ ᲮᲝᲛ ᲝᲤᲚᲘ ᲣᲜᲓᲐ!

— ᲣᲜᲓᲐ ᲓᲐ ᲛᲔᲢᲘ ᲐᲠᲐ? — ᲓᲐᲔᲛᲝᲬᲛᲔᲜ ᲧᲕᲔᲚᲐᲠ...

— ᲰᲝ-ᲓᲐ, ᲒᲐᲛᲝᲕᲘᲢᲐᲜᲗ ᲐᲑᲠᲔᲨᲣᲛᲘᲡ ᲗᲔᲡᲚᲘ ᲓᲐ ᲤᲣᲚᲘᲪ ᲘᲥᲜᲔᲑᲐ. ᲙᲝᲜᲢᲠᲐᲥᲢᲐᲪᲘᲘᲡ ᲛᲘᲮᲔᲓᲕᲘᲗ ᲙᲝᲚᲝᲤ ᲗᲔᲡᲚᲖᲔ 13 ᲛᲐᲡ. ᲛᲝᲓᲘᲡ.

— ᲐᲮᲚᲐ ᲐᲑᲠᲔᲨᲣᲛᲘᲪ ᲣᲜᲓᲐ ᲓᲐᲕᲘᲯᲘᲜᲝᲗ?

— ᲐᲢᲝᲛ ᲓᲐᲕᲘᲯᲘᲜᲝᲗ! ᲤᲣᲚᲘ ᲯᲘᲑᲔᲨᲘ ᲩᲐᲕᲘᲛᲡᲐᲕᲝᲗ, ᲗᲔᲡᲚᲘ ᲙᲘ ᲠᲘᲝᲜᲘᲡ ᲒᲐᲕᲐᲢᲐᲜᲝᲗ!

— ᲨᲐ..., ᲑᲘᲭᲝ!

— ᲤᲣᲚᲘ ᲗᲣ ᲒᲘᲜᲓᲐ ᲔᲡᲐᲐ, ᲗᲣ ᲐᲠᲐ, ᲨᲔᲐᲧᲝᲚᲔ, ᲨᲔ ᲩᲔᲛᲘᲡ ᲗᲔᲥᲕᲡᲛᲔᲢᲘᲐᲜᲝ... ᲠᲐᲘᲐ ᲨᲐᲠᲘ?!?

ᲙᲐᲓᲔᲕ ᲓᲘᲓᲮᲜᲘᲡ ᲘᲗᲐᲗᲑᲘᲠᲔᲡ, ᲘᲤᲘᲥᲠᲔᲡ, ᲗᲐᲕᲔᲑᲘ ᲘᲛᲢᲠᲘᲠᲘᲡ ᲓᲐ ᲔᲠᲗᲮᲔᲚᲐᲗ ᲒᲐᲓᲐᲬᲧᲕᲔᲢᲘᲚᲘ, ᲛᲔᲗᲐᲡᲯᲔᲠ ᲒᲐᲓᲐᲬᲧᲕᲘᲢᲔᲡ. ᲨᲝᲒᲛᲐ ᲡᲝᲪᲘᲐᲚᲣᲠᲘ ᲛᲝᲬᲛᲝᲑᲐ ᲘᲨᲝᲕᲔᲗ, ᲨᲝᲒᲛᲐ ᲡᲐᲐᲜᲒᲐᲠᲘᲨᲝ ᲬᲘᲒᲜᲐᲙᲘ, ᲛᲘᲕᲘᲓᲔᲜ ᲛᲔᲡᲐᲛᲔ ᲡᲐᲒᲠᲔᲜᲐᲣᲚ ᲡᲐᲓᲒᲣᲠᲨᲘ ᲓᲐ ᲗᲘᲗᲝᲔᲣᲚᲛᲐ ᲝᲠᲝᲠᲘ ᲙᲝᲚᲝᲤᲝᲜ ᲐᲑᲠᲔᲨᲣᲛᲘᲡ ᲗᲔᲡᲚᲘ ᲒᲐᲛᲝᲘᲢᲐᲜᲐ. ᲠᲝᲪᲐ ᲬᲘᲗᲔᲚ ᲮᲘᲓᲖᲔ ᲒᲐᲛᲝᲘᲐᲠᲔᲡ, ᲗᲔᲡᲚᲘ ᲠᲘᲝᲜᲨᲘ ᲒᲐᲓᲐᲣᲫᲐᲮᲔᲡ.

ᲛᲘᲚᲔᲑᲣᲚᲘ ᲤᲣᲚᲘᲗ ᲙᲘ ᲠᲔᲡᲢᲝᲠᲐᲜᲨᲘ ᲓᲐᲓᲗᲔᲠᲔᲜ ᲓᲐ ᲐᲡᲔ ᲛᲘᲦᲘᲠᲝᲓᲔᲜ:

ᲤᲣᲚᲘᲡ ᲨᲝᲕᲜᲐᲡ ᲭᲙᲣᲐ ᲣᲜᲓᲐ,
ᲛᲝᲮᲔᲠᲮᲔᲑᲐ ᲓᲐ ᲣᲜᲐᲠᲘ.
ᲝᲠᲝᲜᲓ ᲤᲣᲚᲘ ᲙᲘ ᲕᲘᲨᲝᲕᲝᲗ
ᲓᲐ ᲡᲐᲥᲛᲔ ᲕᲭᲜᲐᲗ ᲡᲐᲬᲣᲜᲐᲠᲘ.

ᲑᲐᲮᲩᲝ.

ᲣᲙᲐᲜᲐᲡᲙᲜᲔᲚᲘ ᲩᲔᲠᲩᲘ



— ᲡᲐᲘᲗᲙᲔᲜ ᲒᲐᲣᲓᲔᲥᲘ ᲒᲖᲐᲡ ᲐᲛ ᲛᲐᲫᲔᲑᲐᲠᲘ ᲫᲐᲚᲚᲘᲗ? ᲔᲑᲚᲐ ᲠᲐ ᲓᲠᲝᲡ ᲜᲐᲓᲘᲠᲝᲑᲐᲐ?!.

— ᲙᲚᲣᲑᲘᲡ ᲠᲔᲟᲘᲡᲝᲠᲘ ᲓᲒᲕᲔᲙᲐᲠ�გᲐ ᲓᲐ ᲕᲔᲠ ᲕᲜᲐᲮᲔᲗ. ᲔᲒᲔᲑ ᲫᲐᲚᲚᲛᲐ ᲛᲐᲘᲜᲪ ᲛᲘᲐᲒᲜᲝᲡ ᲛᲘᲡ ᲙᲕᲐᲚᲡ.

ᲪᲮᲕᲠᲘᲡ-ᲥᲣᲠᲥᲝᲡᲐᲜᲘ

ᲯᲘᲛᲐᲚᲔᲤᲘ ᲩᲘᲛᲘ ᲙᲝᲩᲘ
ᲮᲔᲚᲒᲐᲛᲚᲘᲚᲐ ᲫᲚᲘᲐᲜ.
ᲡᲐᲮᲔᲚᲘᲐ ᲡᲞᲘᲠᲓᲝᲜᲘ,
ᲒᲕᲐᲠᲘ—ᲮᲐᲑᲣᲠᲖᲐᲜᲘᲐ.
ᲐᲤᲗᲘᲐᲥᲘ „ᲝᲢᲔᲜᲘᲡ“
ᲡᲣᲚ ᲔᲠᲗᲐᲕᲐᲓ ᲐᲠᲘᲐ.
ᲰᲧᲕᲘᲠᲘᲡ, ᲠᲝᲒᲝᲠᲪ ᲓᲐᲭᲠᲘᲚᲘ
ᲓᲐᲗᲕᲘ ᲜᲐᲗᲝᲤᲐᲠᲘᲐ.

ᲙᲐᲕᲨᲘᲠᲘ ᲓᲐ ᲙᲐᲜᲝᲜᲘ
ᲛᲐᲡ ᲤᲔᲮᲔᲑᲖᲔ ᲰᲙᲘᲓᲘᲐ.
ᲐᲛᲑᲝᲑᲡ:—ᲕᲘᲜ ᲠᲐᲡ ᲓᲐᲛᲐᲙᲚᲔᲑᲡ,
ᲛᲤᲐᲠᲕᲔᲚᲘ ᲛᲧᲐᲕᲡ ᲓᲘᲓᲘᲐ.
ᲫᲕᲔᲚᲘ ᲛᲝᲘᲯᲐᲠᲐᲓᲠᲔ
ᲔᲑᲚᲐ ᲪᲮᲕᲐᲠᲘᲡ ᲭᲣᲠᲓᲘᲐ.
(Ო, ᲠᲐᲛᲓᲔᲜᲘ ᲪᲝᲓᲕᲔᲑᲘ
ᲣᲙᲐᲜ ᲛᲘᲡᲓᲔᲕᲡ ᲖᲣᲠᲒᲨᲘᲐ!).

ᲢᲐᲠᲮᲣᲜᲐ.

ᲢᲤᲘᲚᲘᲡᲘᲓᲐᲜ ᲛᲘᲛᲐᲕᲐᲚ ᲖᲝᲒᲘᲔᲠᲗ ᲛᲐᲢᲐᲠᲔᲑᲚᲔᲑᲖᲔ, ᲔᲠᲗᲘ ᲙᲝᲜᲓᲣᲥᲢᲝᲠᲘᲡ ᲛᲝᲡᲐᲕᲔᲚᲔᲚᲐᲓ ᲝᲠᲘ ᲕᲐᲒᲝᲜᲘ ᲐᲑᲐᲠᲘᲐ.



ᲐᲜᲘᲡᲨᲣᲐᲖᲔ ᲒᲐᲭᲠᲐ ᲞᲔᲠᲞᲔᲜᲓᲘᲙᲣᲚᲘᲐᲠᲣᲚᲐᲓ.

ᲛᲒᲔᲚᲘ ᲤᲐᲠᲐᲨᲘ

ᲡᲐᲡᲐᲓᲘᲚᲝᲐ ᲯᲣᲛᲐᲗᲨᲘ,
ᲒᲚᲔᲑᲙᲝᲛᲘᲡ ᲒᲐᲜᲫᲘ, ᲭᲝᲜᲔᲑᲐ.
ᲨᲘᲒᲐ ᲖᲘᲡ ᲫᲕᲔᲚᲘ ᲕᲐᲭᲐᲠᲘ,
ᲡᲐᲙᲣᲗᲝᲠᲐᲓ ᲔᲞᲐᲢᲠᲝᲜᲔᲑᲐ.
ᲐᲑᲣᲠᲐᲓ ᲘᲯᲓᲔᲑᲡ ᲒᲚᲔᲑᲝᲑᲐᲡ,
ᲮᲠᲓᲘᲚᲝᲑᲐ ᲐᲠᲐ ᲡᲩᲘᲠᲘᲐ;
ᲗᲐᲕᲘ ᲑᲐᲢᲝᲜᲘ ᲰᲒᲝᲜᲘᲐ,
ᲰᲣᲛᲢᲐᲠᲘ ᲨᲔᲛᲝᲛᲮᲕᲔᲕᲘᲐ.

ᲐᲠᲡᲔᲜᲘᲐ, ᲫᲕᲔᲚᲘ ᲝᲡᲢᲐᲢᲘ,
ᲜᲐᲪᲐᲓᲘ ᲫᲕᲔᲚᲘ ᲪᲑᲘᲔᲠᲘ,
ᲤᲔᲮᲥᲕᲔᲨ ᲔᲒᲔᲑᲐ, ᲗᲣ ᲨᲔᲮᲕᲓᲐ
ᲰᲐᲡ, „ᲓᲘᲓᲘ ᲙᲐᲪᲘ“ ᲫᲚᲘᲔᲠᲘ.
ᲮᲝᲚᲝ, ᲗᲣ ᲨᲔᲮᲕᲓᲐ ᲦᲐᲠᲘᲑᲘ,
„ᲞᲐᲢᲐᲠᲐ“ ᲙᲐᲪᲘᲡ ᲘᲔᲠᲘᲗ,—
ᲡᲛᲐᲡᲐᲪ ᲐᲠ ᲒᲐᲡᲪᲔᲛᲡ, ᲐᲠ ᲰᲙᲘᲗᲮᲐᲕᲡ,
ᲗᲣᲦᲝᲓᲐᲪ, ᲠᲝᲛ ᲛᲝᲙᲕᲓᲔᲡ ᲛᲨᲘᲔᲠᲘ.
ᲩᲘᲜᲔᲗ ᲗᲐᲕᲘᲡᲗᲕᲘᲡ ᲕᲐᲭᲠᲝᲑᲓᲐ,
ᲗᲐᲜᲮᲐ ᲠᲝᲛ ᲨᲔᲛᲝᲔᲚᲘᲐ,
�გᲚᲔᲑᲙᲝᲛᲨᲘ ᲛᲝᲛᲫᲛᲔ ᲒᲐᲣᲩᲜᲓᲐ
ᲓᲐ ᲘᲥ ᲨᲔᲛᲝᲛᲫᲠᲐ ᲛᲔᲚᲘᲐ.

ᲙᲝᲑᲢᲘ.

ნიგოზითი

— მასწავლებელო, გვანახვეთ ქიმიური ცდები!
— სულელი ხომ არა ხარ რომ აფეთქდეს?!

გულდაღონებული და დაზარალებული ჩოხატაურის გლეხკომი აუწყებს ჩოხატაურის მეეტლეებს, რომ ხანგრძლივი ავადმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა მისი ერთად-ერთი ნუგეში და სიამაყე, ხოლო უკანასკნელია ერთად-ერთი და ძლიერი მოწინააღმდეგე

ა ვ ტ ო

რომელიც იხსენებულ მოუცველობამ და შოფერის დაუდევრობამ. პანაშვიდი ყოველდღე გლეხკომის სასადილოში.

ჩოხატაურის გლეხკომის ავტოს გარდაცვალების გამო გაძღარულებულნი ჩოხატაურის

მ ე ე ტ ლ ე ე ბ ი

აუწყებენ საზოგადოებას, რომ განახლდა მიმოსვლა ჩოხატაურ-საჯეკანოს შორის. ტყავის გაძვრობა ორმაგ ფასებში. მაყარიჩი ყოველდღე კერძო სამიკიტნოში.

სადგ. ბელლევის სადგურის უფროსი ჭანკვეტაძე ამით აცხადებს, რომ მის მიერ სადგ. ბელლევში მოწყობილია

სანიმუშო საქათმე

რომელშიაც მსურველებს თვითონ ასწავლის შინაურ ფრინველების (ქათამი, ინდოური და სხვ.) მოვლა-მოშენებას.

უგზო-უკვლოდ დაიკარგა სადგ. განჯის

ა დ გ ი ლ კ ო მ ი

მპოვნელს ვთხოვთ — ნუ გამოგვიგზავნის (ვერაფერს გვიკეთებდა), რისთვისაც მიიღებს ჯილდოს. სადგ. განჯის მუშა-მოსამახურეთა დავალებით.
№ 447737. ვ. კუზნეცოვი.

სამოწაფო თანამედროვე ანდაზები

✦ მოწაფემ თუ გაკვეთილი არ იცის, გაკვეთილზე ჰკვიანათ ზის.

✦ ცუდ მასწავლებელს, ცუდი მოწაფეები ჰყავს.

✦ მოწაფემ გაკვეთილი არ ისწავლა, და წიგნს დაებრალა — ძნელი არისო.

კალმოსანი.

მგზავრობა იმერეთში

ბოლოდის თეძი

დიდხანს ვეძებე სას.-სამ. საკრედიტო ამხანაგობის დაწესებულება.

— ნეტა, ალარ არსებობს?—ვიკითხე მე.

— როგორ არა, მაგრამ ანდრო ჩიხლაძემ თავის ბინის ასლოს გადაიტანა, იმ მიზნით, რომ საქმეზე მისულ გლეხებიდან უფრო მოხერხებულად შესძლოს საჩუქრების მიღება.

— მერე შეიძლება საბჭოთა დაწესებულებაში ასეთი პიროვნება?

— ჰმ! ეგ რა არის! ამ დაწესებულებაში ნამდვილი მღვდლებიც კი მსახურობენ. საკანცელარიო მუშაობა ანაფორიან მღვდელ რომანოზ ჩიხლაძეს აქვს ჩაბარებული. აქვე არიან მოკალათებული: რაფდენ ბობოხიძე, კულაკის შვილი, ასლან ჩიქოვანი ყოფილი თავადი და ბიჭტორ ჩიხლაძე (ცნობილი მევახშე).

სად. სპირი.

— სოთ მიეჩქარები ასე ადრე?—შეეკითხე სადგურ სპირის ა.ლ.კ.კ. უჯრედის წევრს გრიშა მაღლაკელიძეს.

— ეკლესიაზე—წირვა-ლოცვის მოსასმენად.

— ბიჭო, ხომ არ გადირიე, კომკავშირელი მაგას ჩადიხარ?!

— კომკავშირი აქ რა შუაშია! გუშინწინ პავშიც მოვნათლე, სააღდგომოთ მე და ხუცესმა ზორბათ ვიქეიფეთ. მერე-და რა მოხდა! უჯრედს ხმაც არ ამოუღია.

სოფ. ჭოკრეილა (საჩხერის რაიონი).

— გამარჯობა, ბესარიონ გოგიტაშვილო! კაცო, რას დაეძებ მაგ მინდორში?

— ბალახებს წამლების შესამზადებლად. ისე კითხულობ თოჯოს არ იცოდე, ჩემი სახელი, როგორც ნიკიერ ექიმისა, მთელ იმერეთშია გავარდნილი. აგერ წინაზე იობაშვილის ქალს თექვსმეტი ფუთი სიმინდი გადავაშვლეკე კისერზე ჩემ წამლებში.

— შენ ხომ კომკავშირელი ხარ?

— მერე რა!

—სად გაგონილა კომკავშირელის ექიმობა-შობა! ალბათ არ იციან, თორემ აქნობამდე გამოგრიცხავდნენ.

— ჩვენმა უჯრედმა ხულიგნობა, სიმულიანტობა, კომბინატორობაც კი დამიმტკიცა, მაგრამ ვერაფერი დამაკლო.

საჩხერე.

მომშივდა.

წითელ სასადილოში შევიარე.

სიმღერა, ცეკვა-თამაში და ლანძღვა-გინება იქაურობას აყრუებდა.

— ამხანაგო, სასადილოს გაგემ ღვინო თუ დაგაძალოს, ნუ დალევთ!—მითხრა ჩემს გვერდით მოსაღილემ.

— რატომ?

— ის ძველი მიკიტანია, დაგათრობს და ზედმეტს გადაგახდევინებს. ამის გულისთვის ერთხელ ეუსტიც ააკრეს, მაგრამ „დიდ კაცები“-ს წყალობით ხელმეორედ აღადგინეს. ხომ ხედავ—მუშათა სასადილო პირდაპირ სამიკიტნოდ არის გადაქცეული.

— მართალია, მხოლოდ არღანი აკლია!

ძირულელი თაღა.

მიზეზი

ფოთის ნავთსადგურში ღია ცის ქვეშ უპატრონოდ ჰყრია „საქართველოს ღვინო"-ს საეკსპ-ატო ღვინით სავსე 4.100 კასრი. მზის დაცხუნებისაგან კასრები ხადება და ღვინო იღვრება.



ეს ასე იმიტომ ხდება რომ „საქართველოს ღვინო"-ში ალგად ვიღაც ბიუროკრატი—„ბოსტაა" ზის.

ი შ ვ ი ა თ ი წ ყ ე ვ ლ ა (სამტრედია, მესამე ილორი)

ფოტინე:—მემესპე, მემესპე, გადა მიშენდი, რავარც ჩვენი ეკლესიის ეზოში მდგარი დიდი ჟანდრის ხეები გადაშენდენ. არ მოგხმარდა შენი ნაშრომი, ისე რავარც ამ ხეებში აღებული ოული სოფელს არ მოხმარებია და ჩაყლაპა ილაცის ჯიბემ.

დუსინე:—უი, გაჭრი, გაგიხმა მაგ თავი, გაგიარა შენმა ნაოფლარმა ფულეთ, ისე რავარც ჩვენი სამკითხველოს შენობისათვის შეგროვილი ფულები გაჭრო ფულეთ მარო ნანეიშვილმა და მისმა აფხანიკებმა.

ფოტინე:—ოი, დემეღუპე, არ ეღირსა შენ მოდგმას არაფერი სიკეთე ისე, რავარც ჩვენმა აღმასკომმა არ აღირსა ილორის უბანს კოოპერატივი და სამკითხველო.

დუსინე:—გაგიჩდა ჭირი და თხიპე, ისე დაგლახდი, რავარც ჩვენმა საქათმე კომბინატმა დაჭირიანებული და დაგლახავებული წიწილები დაგვირიგა სოფელში.

ფოტინე:—მეისპე და არ გეღირსოს არაფერი საქმის გაკეთება—ისე, რავრაც ჩვენმა აღმასკომმა სასოფლო გზების შეკეთება არ გვაღირსა, გადაგიბრუნდა უკუღმა ყველაფერი ისე, რავარც პარონის გზაზე შიმაეალი ურმები ბრუნდება თავდაყირა.

დუსინე:—ოი, ჩაგიშავდა ბიმბილე, დაგილპა ჭირნახული და დაგენგრა თეძოები ისე, რავარც ჩვენი ოთხწლეულის შენობა ლპება და ინგრევა უპატრონოდ.

ფოტინე:—გადეგერია შვილები, გირტყეს, გიპასკუნეს ყოველ დღე ისე, რავარც აი ჩვენი კლასის უჩიტელი პარმენ ასათიანი ურტყამს,—უბასკუნებს ბაღნებს ყოველ დღე.

დუსინე:—გახელდი, გამწარდი ისე, რავარც ვასო ჯიბლაძე ამწარებს და უყვირის მასთან საქმეზე მისულ გლეხებს და იხრჩობა დორბლებით.

ფოტინე:—რომ დაწვე, დეგემპრია ოუდგომელი ისე, როგორც ქალაქის სამკითხველოდან ნუკა საკანდელიძის მიერ ასაკინძათ გატანებულ წიგნებს დეემპრთა „ოუკინძაე".

ბრაგუნა.



ცვარტი-კვარტზე მიაგორა
და გამოთვრა იაგორა

„ჭიათურის მაღაროების მღვიმეების რაიონის ხელმძღვანელი იაგორა სტურუა სისტემატიურად ლოთობს და აწიოკებს მის ახლოს მცხოვრებ მუშებს. სამუშაოზე მას ხშირად ვერ ნახავთ, რადგან გართულია კვარტების ცლაში“.

მუშ. **გოგის** წერილიდან.

თქვენ არ მომიკვდეთ, იაგორა სტურუა, არც ისე სასაყვედუროა, როცა სცლის ხან ყანწებს, ხან ჭიქებს და თან მამლაყინწურად თავს იქებს, რომ ის იყო ზესტაფონის მილიციის „მართველი და ვით „ჭეშმარიტი ჭართველი“ თავს არ ზოგავდა დროს ტარებაში, ბიჭი არ ჯობდა ქალებთან გარეგაში და როცა ერთ ქალს გაუპატიურება მოუნდომა, რადგან ვერ დაიკმაყოფილა ეს „ვაუკაცური“ ნდომა, ესროლა ტყვია და... ერთის

სიტყვით, როცა იქიდან გამოაპანღურეს „ფრიადათ“, ჭიათურას მოევლინა ფიზიკურ მუშად და აქაც არა უშავს: ბედი აქვს განაღიმევი, ამიტომ ხელში ჩაიგდო მღვიმეები და გიყვარდეს კოხტა ქეიფი და კაი ლზინი; არც ადმინისტრაცია, არც მუშგლეხნი ჯერ არ წასდგომია თავს-როგორც ციცხვი; მაგრამ აბა ტარტაროზი ხომ არ აუმეევს სირცხვილს? ჩანგლის წვერი და მისი ჯანი! ნუ და. გვირჩება იაგორა ხათრიჯანი.

*

იცის კოხტა თამაში,
ბიჭობს სმა და ჭამაში

„ავჭალის შუშის ქარხნის მუშები ხშირად უპუროდ რჩებიან იმის გამო, რომ ქარხანასთან არსებულ პურის საცავრო პუნქტის ნოქარი ქავთარაძე საქეიფოდ და საცეკვაოდ დაიარება და მუშების კუთვნილ პურს უწიგნაკოდ ყიდის კერძო პირებზე“.

მუშ. **შუშისქარხნელის** წერილიდან.

ქვათაძე ბიჭად-ბიჭია საკმაოდ კოხტა და ავჭალაში ნოქრად რომ მოხვდა, საქმე ისე მოხდა, რომ ხოში ალეძრა ცეკვა-თამაშის და რადგან მას აქ არავინ სჯობდა ამაში (და სხვათაშორის სმა და ჭამაშიც) ვაიჩინა შესაფერი ამქარი და ამ წუთში რომ აქ არი, მეორე წამში გალმაუბანში „შამილსა“ ცეკვავს ფიგურებით,—ამ დროს თუ მუშკოპისკენ

იყურებით, თქვენ დაინახავთ ჩამწკრივებულ მუშებს, რომლებიც ავჭალის ქარხანაში ამზადებენ შუშებს და დასვენების დროს სასაუზმოდ გამოსულნი—უცდიან პურს პირში დამაღ-ჩამოსულნი: ცდებიან საქმეზე, აცხადებენ საყვედურს, მაგრამ ვინ უგდებს ყურს?—ქვათაძემ მათ კუთვნილ პურს უკვე ანდერძი აუგო და უწიგნაკოდ მისიანებს წაუღო... ერთის სიტყვით, აქ საკითხი დგას მწვავად და საქმე ისე წავა, რომ თუ ტარტაროზმა არ „ატანცავა“—ნოქარი ქვათაძე—უფრო თავს გავა.

*

გიორგი ხარ—ზანდუკელი?
თავხედობას მანდ უკელი

„ქარხანა „ჭაჭა“-ს ადგილკომის რწმუნებული გიორგი ზანდუკელი სისტემატიურად არღვევს შრომის დისციპლინას. სამუშაოზე ცხადდება დაგვიანებით მთვრალი ... მუშაობის მაგივრ მაგიდაზე სძინავს მუშების თვალწინ“.

მუშ. **კრიტიკას** წერილიდან.

ქარხანა „ჭაჭას“ ოხრათა „კვაჭავს“.
ეს ზანდუკელი—ჩვენი ქარხკომი,—
იცის ხვრელები, ჭყავს მფარველები.
ჯერ არ შეშლია მიტომ ნახტომი.
„ებრძვის“ ლოთობას, დეზერტირობას—
ამიტომ ის ჭქნის ასეთ პირობას:
გაილეშება გაიჭაჭება
და მაგიდაზე გაიტყლარჭება—
დაიგვიანებს სამუშაოზე,
ან ადრე წავა, აღარ დარჩება.
მოკლედ: ქარხკომი „გვაძლევს მაგალითს“
მაგრამ... ის არის სწორედ მაგრიც,
რომ ზანდუკელსა ეს თავხედობა,
ხახვივით რჩება, რადგან მან იცის
ცოტა საქმე და ბევრი ყბედობა.
აქედან ტარტაროზს გამოაქვს დასკვნა:
ზანდუკელს ისეთი პანღური „ვაფსკვნათ“,
რომ დაუფანტოთ ჭაჭა
და აღარ ივარგოს კვაჭად.

*

ციფრებს ქექავენ „ბუხები“
ისე, ვით ნაგავს კრუხები.

„ბორჯომის საკასრე ქარხნის ბულალტერი სიმონოვი წმინდა წყლის ბიუროკრატი და შრომის დეზერტირია. იგი აჭიანურებს საქმეებს, აწვალებს მუშებს და თვითნებურად სტოვებს სამუშაოს. სიმონოვის დამჭაშები ხელს უშლიან მსუბუქ კავალერიას ქარხნის დანაკარგებთან ბრძოლაში“.

მუშ. **კავალერისტის** წერილიდან.

ჩვენს ქარხანაში ბლომად არიან ფრთოსანი კრუხები: — „ზავები“, „ზამები“ და მათი „ბუხები“, რომლებიც გაპრტყელებულ ძირით ასხედან მკვდარ ციფრებს, და წყალს ატანენ ცოცხალ მასალას—სატკეჩე ფიცრებს; როცა მათ მიუთითებს მსუბუქი კავალერია, რომ გადაყრილ ნაფოტში—საკასრე ტკეჩები ბევრია, —სტუქსავენ მას „ზავები“—ბუხები და მათი ნათესავები—და აცხადებენ,

რომ მათ კარგად იციან რასაც შვრებიან, რომ... ერთის სიტყვით მუშები „მათ საქმეში“ ნუ ეჩრებიან—და ხარ ჯავენ სხვა „მარგალიტებს“, მაგრამ რომ გავყვეთ ამგვარ მაგალითებს, შორს წაგვიყვანდა თუნდაც იმის დასახელება, თუ „ბუხ“ სვიმონოვს თავი როგორ ესახელება, როცა იგი აწვალებს მუშებს და ხელსაყრელ შემთხვევას არ უშვებს, რომ მოახტეს მატარებელს და ჰაიდა—ტფილისში დროს სატარებლად. მაგრამ აქ დაუსვათ წერტილი, რადგან ტარტაროზს მტკიცედ აქვს გადაწყვეტილი, რომ ამ ქარხნიდან კინწის-კვრით დაფერთხოს ბიუროკრატი ბუხი და ყველა ის კრუხი, რომელიც ქარხანაში საქმეს აფუჭებს, უაზროდ ანადგურებს სამასალო ტკეჩებს და მხოლოდ „სიტყვის მასალად“ ხარჯავს საქმიან „რეჩებს“.

ა ნ კ ე ტ ა

1. სახელი, გვარი, მამის სახელი.

2. მკითხველი თუ თანამშრომელი?

3. რა მოგწონთ ჟურნალში?

4. რა არ მოგწონთ?

5. რა მიღწევა აქვს?

6. რა ნაკლი?

7. ეტყობა თუ არა გაუმჯობესება?

8. რაში ხედათვ გაუმჯობესებას?

9. რომელი განყოფილებები მოგწონთ?

10. რომელი არა?

11. რა განყოფილებებია კიდევ საჭირო?..

12. თქვენი შეხედულება ჟურნალზე საერთოდ.

13. თქვენი სხვადასხვა შენიშვნე-ბი.

კ ო რ ე ქ ტ ო რ ი ბ ლ ა გ ვ ა ძ ე

კორექტორი გაბრიელ ბლაგვაძე ერთ საუკეთესო კორექტორად ითვლება ტფილისში. ათი წლის სტაჟი ჰქონდა. მუდამ ფხიზელი, მუდამ მუყაითი და საქმის ერთგულად შემსრულებელი,—აი რა ახასიათებდა გაბრიელს.

ასე მიდიოდა დღეები და გაბრიელიც ყოველდღე მუშაობდა მუყაითად, ერთგულად.

იყო დღე იგი შაბათი. გაბრიელი რაღაც ეშმაკად ადრე გამოვიდა სახლიდან. იქნებოდა სრული ორი საათი. მუშაობა კი უნდა დაეწყო ექვს საათზე. სახლში დაბრუნება აღარ ღირდა ,და დაიწყო რუსთაველის პროსპექტზე სეირნობა. აქ მოხდა მარცხი, საშინელი მარცხი: გაბრიელს შეხვდა დიდი ხნის უნახავი მეგობარი, გადაეხვიენ ერთმანეთს და ცოტა ხნის შემდეგ მეგობარმა გაბრიელი თითქმის ძალად შეიყვანა რესტორანში.

—:—

ხუთის ნახევარზე გაბრიელი რესტორანიდან გამოვიდა. პირზე შეჭარხლებული იყო და ხელების შლით ხმა მაღლა ელაპარაკებოდა მეგობარს. ბოლოს გადაეხვია მაგრათ ჩაჰკოცნა და ჩქარი ნაბიჯით გასწია სტამბისკენ.

ასე მხიარული და მოღიმარე გაბრიელი თავის დღეში არ ენახათ ასოთ-ამწყობებს და ძალიან გაუკვირდათ. სამი გვერდი ჩვეულებრივად გულ-და-გულ გასწორა გაბრიელმა. მეოთხე გვერდი შემოუტანეს გასასწორებლად. თავი საშინლად დაუმძიმდა გაბრიელს; ტვინი ბურუსმა შებოჭა. თავს ძალა დაატანა. დარჩა უკანასკნელი წერილი. თავი ძალზე გააკანტურა და დაიწყო კითხვა. ვერაფერი გაიგო და დედანი აიღო ხელში: დედანში შემდეგი ეწერა:

წერილი რედაქციის მიმართ .

ამხანაგო რედაქტორო!

თქვენს პატივცემულ გაზეთში მოთავსებულია ტყუილებით სავსე წერილი გუდაუთიდან. მე სრულიად მართალი ვარ და ამის დამამტკიცებელ საბუთებს ამასთან ერთად ვგზავნი. თუ თქვენი ნება იქნება, კარგად, დალაგებით, თვითონ გიახლებით და მე გიამბობთ ყველაფერს. ანაფორა დიდი ხანია გავიხადე და ჩემი ტლანქი ხელებით, როგორც უბრალო გლეხი, უანას ვამუშავებ. მთელი ამბავი თავიდან ბოლომდე მოჭორილია. ვურჩევ ავტორს ჭორიკანობას თავი დაანებოს. დასამალავი განა რა მაქვს? ვიწვევ სამედიატორო სასამართლოში. სამ დღეში დაასახელოს თავის მედიატორენი".

შვილი.

გაბრიელმა ნაბეჭდის კითხვა დაიწყო, მაგრამ უკვე ისეთ მდგომარეობაში იყო , რომ ვეღარაფერს არჩევდა. ასოები ბუქნას უვლიდენ. ხელი ჩაიქნია. „სწორე იქნება"-ო ჩაილაპარაკა. ქუდი დაიხურა და წავიდა.

მეორე დღეს გაზეთში შემდეგი იყო დაბეჭდილი:

წერილი რედაქციის მიმართულებით.

ამხანაგო ბრედაქტორო!

პატივცემული ტყუილების სავსე გუდა ხარ. ამის დასამტკიცებელ საბუთებს გიგზავნი. ანაფორა დიდი ხანია გავიხადე და ჩემი ტლანქი ხელებით იზე დაგამუშავებ როგორც უანას. გირჩევ ჭორიკანობას თავი დაანებო, თორემ დასაკლავი დანა თან მაქვს. ვიწვევი. ავიატორი საბედისწერო საბურთალოში სამ დღეში დაიმსხვრა.

პატარა ცემი ვორადიონ თხაპარიაშვილი".

მეორე დღეს გაგიჟებული რედაქტორი თავის ოთახში ყველაფერს ამტვრევდა და ყვიროდა—**დახვრიტეთ! ჩამოახრჩეთ ის არამზადა! ბანდიტი!"**

მორიელი.

მ უ ხ რ უ ჭ ი

იცოხნის

ამ რამდენიმე წლის წინად გზატკეცილების სამმართველომ დაიწყო **ხურამ-ძირულის** შოსეს გაყვანა, მაგრამ მუშაობა კუს ნაბიჯით მიდის, ხშირად კი სრულიად სწყდება, თითქოს გზა-ტკეცილების სამმართველოს ავიწყდება სამუშაო გეგმაში დასახელებული გზის დამთავრების არსებობა.

„დავიდუსი“

ლაფში ჩაფლულია ურემი
„გზაზე“ არ მოსჩანს ფონია,
გზა კი გზის ბიუროკრატებს
დამთავრებული ჰგონიათ.

*

გამოიცნო

— ფოთის ნავთსადგურში შეუმჩნეიათ ერთი მოქალაქე, რომელშაც ორმოცი დღე იმარხულა.

— ვინ უნდა იყოს ნეტავი?

— მუშა გამომგონებელი იქნებოდა.

*

ბ ა თ ო მ ე ლ ი „ი ა დ ო ნ ი“

სადგურ ბათომის საბარგო განყოფილებაში მსახურობს მოლარის თანამდებობაზე ნიკო ჯორჯიკია. მის სალაროსთან მოქალაქეებს 3-4 საათი სჭირდებათ ლოდინი საქონლის გამოყიდვის დროს.

12 მაისს კი მოქალაქეებზე გულმოსულმა ჯორჯიკიამ ლანძღვა-გინებით გული ვეღარ მოიჯერა და სულ მიატოვა სალარო, რის გამოც ხალხი მთელი დღე სალაროს თან „აყურყუტა“.

მუშკ. **ბიბოს** წერილიდან

ჯორჯიკიას ნიკოს
მიტომ ჰქვია ნიკო,
რომ იმასთან რიგში
სამ დღეს უნდა იყო

*

ლ ო თ ი-ფ ო თ ი ნ ე ს ტ ო რ ი

სადგურ ხრესილის წყალსაქაჩის ცეცხლფარეში ნესტორი ლოთი-ფოთი კაცია, რომელიც სამსახურს გულს არ უდებს და თავი მომაკვდავ მელიასავით მუდამ ღვინის სარდაფისაკენ მიაქვს.

მუშკ. „ხელი“-ს წერილიდან.

ალბათ იცის ნესტორმა, რომ ლოთი-ფოთობას და მით უმეტეს, სიმულიანტობას არავინ შეარჩენს. იცის „ვაჟკაცმა“... გულში დარდები სწვავს... „ცეცხლი უკიდია“. მერე იმ ცეცხლს ჩაქრობა არ უნდა?

რითი ჩააქროს?

წყალით?

წყალი „პირუტყვის საქმეა“ და ისიც ხვანჭკარის ტკბილი შადრევნით „იქრობს“ რაღა!

—:—

„დამცირებულნი“

გუშინ წინ სატრანსპორტო-საბომბარებლო კოოპერაციის № 3 ძაღაზიაში აღმოჩენილ იქნა 6 კილო დამპალი შაშხი, რომლის ნაწილი უკვე გაეყიდათ მომხმარებლებზე.

გამოირკვა, რომ მაღაზიაში შაშხი გადმოუგზავნია იმავე კოოპერაციის № 7 საწყობს „კომუნ.“.

— აფსუსი არ არის, რომ ერთი კილო ჩვენისთანა მხუქანი „საქონელი“ რაღაც ხუთ - ექვს მანეთად იყიდებოდეს?!

სცენა სამგზავრო ვაგონში

დედაბერი: — მიშველეთ! დავილუპე, გამცარცვეს... ვაი! ვაი! ვაი!

1-ლი მგზავრი: რა მოგპარეს დედიჯან?

დედაბერი: — ფულები მომპარეს!.. ჯიბე მომჭრეს (ხელს იცემს სახეში) ვაი!.. ვაი!.. ვაი!..

1-ლი მგზავრი: — რამდენი წაიღეს?

დედაბერი: — სამი თუმანი წაიღეს!.. ვუი ოჯახო!.. ვუი შვილებო! რაღა ვქნა! ბილეთიც წოუღიათ.

კონდუქტ. — რამდენი მოგპარეს?

დედაბერი: — ოცი მანეთი!.. ბილეთიც ამომართვეს... დავილუპე... ვუი... ვუი (ისევ ხელს იშენს).

მე-2 მგზავრი: — რა მოგივიდა დედილო?

დედაბერი: — თუმანი მომპარეს. ვაი... ვაი...

3 მგზავრი: — რა, გატირებთ! რა მოგივიდათ?

დედაბერი: — გამცარცვეს.

3 მგზავრი: — რა მოგპარეს?

დედაბერი: — სამი მანეთი მომპარეს — ბილეთის ფული... ვაი... ვაი... ვაი.. (ხალს იშენს).

მგზავრები: — ??!!

კონკურსი
50 მანეთი

ამ სურათზე უკეთეს წარწერებისათვის.

პირველი ჯილდო	25 მანეთი.
მეორე ჯილდო	15 მანეთი.
მესამე ჯილდო	10 მანეთი.

კონკურსის მიღების უკანასკნელი ვადა — 15 ივნისი.

კონკურსის შედეგი გამოცხადდება 22 ივნისის ნომერში

კონვერტზე უნდა იყოს წარწერა: კონკურსისათვის.

საჭიროა ავტორის სრული ვინაობა.

გ ო ლ დ ო რ ი

ა. ო.ხ.ერს (ბუქსიეთი, ოზრუგ. მაზრა). ესეც კმარა:

„ეპოს“ ნოქრად მოგვევლინა
ძველი ჩარჩი ზაქარია.
ვაჭრებს მისცა, რაც მიილო
ფართალი და შაქარია! — აქ რითმა და ლექსთა
ყუობა კარგია,—ხოლო თვით საქმე—ცუდი.

დამსწრეს (დუშეთი). მართლაც კარგი ტრიო ყოფილა მოკალათებული „ეპოში“: 1. ს. ნამორაძე, 2) ფარეხიშვილი და 3) დუჯიშვილი.

1. მამაჩემის შოყვარე ვარ,
   გავუმართე მიტომ ხელი.
   რაც „ეპოში“ შემოვიდა,
   შინ წავიღე ერბო, ყველი.
2. მე ვარ ძველი აზნაური
   ჭამაც ვიცი შესაფერი;
   გლეხს რად უნდა თეთრი ფქვილი?
   სახლში მიმაქვს ყველაფერი.
3. მე ყოფილი ვაჭარი ვარ,
   მიტომ ვწყალობ ნაცნობ ვაჭრებს;
   მათ თოფობით ვაძლევ ფართალს,
   და გლეხებს კი მხოლოდ ნაჭრებს.

რაკი ესენი ასე სწმენდენ „ეპოს“, ალბად გამწმენდი კომისიაც არ დაიზარებს მათ გაწმენდას.

ჭალელს (ქვ.-ნოლა, საგურამო) თქვენ გვწერთ, რომ „აქვსენტი ბოცვაძე სცემს კოლექტივის წევრ გლეხებსო“, —და ამ თქვენს ცნობას ადასტურებს „ხელის მოწერითა და სახაზინო ბეჭდის დასმით“ თემსაბჭოს თავმჯდომარე, რომელიც შეამდგომლობს—დაგიბეჭდოთ ეს წერილი და „მოვსცხოთ“ თქვენი სოფლის „ტარიელ მკლავაძეს“.

რაღა ჩვენ გვავალებს თემსაბჭოს თავმჯდომარე ამ საქმეს? ეს პირდაპირ მისი მოვალეობაა. (ვაი, სირცხვილო! ბეჭედი მაინც არ დაესვა და ხელი არ მოეწერა თავისს უმოქმედობის დოკუმენტზე).

მასარულელს (ზესტაფონი). თქვენ თუ არ შეგრცხვებათ ამ ლექსის ავტორობა, ჩვენ რა გვადარდებს, დაებეჭდავთ:

ანტიკულტურულ ქმედობით
ქითაბი გამოელია.
ყველა აფასებს კოზიკოს,
„უბადლო ეენტლემენია“.

კა-ლე-ტის (ძირულა). ჩვენ არა გვგონია, და თუ კი ასეთი ლექსი გამოასწორებს ისიდორე გელაშვილს, ჩვენ სიამოვნებით დაგიბეჭდავთ:

ხშირად მოდის გალეშილი,
წარმოებას ხელს უშლისა.
სიმთვრალის დროს გენერლობს და
ფხიზელი კი არად ღირსა.

ლექსი სუსტია, თუმცა ასეთ კაცზე უკეთესი ლექსის დაწერა არც კი ღირს.

კოხს (ბათომი) ვინაიდან თქვენი დეპეშა:

კ. ორაგველიძემ, რომელიც ბინას ეძებდა, და იწყო ოთახებში ფანჯრების ჩამტვრევა, რომ გაეგო რომელი ოთახი იყო თავისუფალი, რომ ჩასახლებულიყო... მილიციამ კარლოს ოთახი გამსახლში მისცა“,—დაგვიანებით მივიღეთ და ეხლა აღარ აქვს მას მნიშვნელობა; ამიტომ აღარ ვათავსებთ.

ჩახ-ჩახს. რაკი მიდიხართ სოფელში, რაღა ჩვენი ხელით უგზავნით ცოლს წერილს?! თვითონ წაუღეთ და წაუკითხეთ.

რეხვეს. ტარტაროზმაც რეხვა თქვენი წერილი გოდორში.

Библиотека имени Акад. И. Грошвили Академия наук

კრილოვისებურად

მკხოვრებთა მომარაგება სურსათ - საწოვაგით მიტომ ვერ არის მოგვარებული, რომ საჭირო ორგანიზაციები, რომლებსაც ეს ევალებათ, ერთმანეთს ხელს უშლიან მუშაობაში.

ამხ. ლ. ღოლობერიძის მოხსენებიდან საქ. კ. პ. 7 ურილობაზე.

ᲒᲔᲓᲘ, ᲙᲘᲑᲚᲘ ᲓᲐ ᲙᲐᲚᲛᲐᲡᲘ

ᲒᲣᲚᲛᲝᲓᲒᲘᲜᲔᲑᲘᲗ ᲒᲐᲔᲑᲔᲜ
ᲡᲐᲛᲘᲕᲔ ᲔᲠᲗᲐᲓ ᲛᲐᲠᲮᲘᲚᲨᲘ,—
ᲛᲐᲒᲠᲐᲛ ᲕᲔᲠ ᲓᲐᲡᲫᲠᲔᲑᲡ ᲘᲡ ᲢᲕᲘᲠᲗᲘ,
ᲢᲧᲕᲘᲚᲐᲓ ᲩᲐᲕᲐᲠᲓᲔᲜ ᲡᲘᲠᲪᲧᲕᲘᲚᲨᲘ.
ᲐᲦᲐᲠ ᲘᲖᲝᲒᲕᲔᲜ ᲫᲐᲚᲦᲝᲜᲔᲑᲡ,
ᲡᲬᲔᲕᲔᲜ ᲓᲐ ᲔᲥᲐᲰᲘᲔᲑᲘᲐᲜ;
ᲝᲤᲚᲨᲘ ᲡᲪᲣᲠᲐᲕᲔᲜ ᲣᲑᲠᲐᲚᲝᲓ,
ᲘᲛᲐᲕ ᲐᲓᲒᲘᲚᲖᲔ ᲠᲩᲔᲑᲘᲐᲜ.
ᲕᲔᲠ ᲐᲮᲔᲠᲮᲔᲑᲔᲜ ᲕᲔᲠᲪ ᲔᲠᲗᲘ
ᲔᲠᲗᲘ-ᲛᲔᲝᲠᲘᲡ ᲨᲕᲔᲚᲐᲡᲐ...
ᲓᲐ ᲛᲩᲐᲢᲔ ᲢᲕᲘᲠᲗᲘ ᲛᲘᲰᲭᲝᲜᲓᲐᲗ
ᲡᲮᲕᲐᲓᲐᲡᲮᲕᲐ ᲛᲮᲠᲘᲡᲙᲔᲜ ᲧᲕᲔᲚᲐᲡ:
ᲗᲔᲕᲖᲨᲘ—ᲬᲧᲐᲚᲨᲘ, ᲒᲔᲓᲔᲡ ᲙᲘ-ᲰᲐᲔᲠᲨᲘ
ᲓᲐ ᲙᲘᲑᲝᲡ—ᲣᲙᲐᲜ-ᲣᲙᲐᲜᲐ,—
ᲛᲘᲢᲝᲛᲐᲪ ᲘᲛᲐᲗ ᲨᲠᲝᲛᲐᲛᲐ
ᲜᲐᲧᲝᲤᲘ ᲕᲔᲠ ᲛᲝᲣᲢᲐᲜᲐ.

ᲐᲙᲐᲙᲘ.

— ᲝᲠᲡ ᲠᲝᲛᲛ ᲒᲐᲓᲐᲣᲭᲠᲘ ᲑᲐᲬᲐᲠᲡ, ᲛᲐᲨᲘᲜ ᲓᲐᲘᲫᲠᲔᲑᲐ ᲔᲡ ᲣᲠᲔᲛᲘ ᲐᲛ ᲐᲓᲒᲘᲚᲘᲓᲐᲜ.

ᲠᲔᲓᲐᲥ.: ᲡᲐᲠᲔᲓ. ᲙᲝᲚᲔᲒᲘᲐ. ᲒᲐᲖ. „ᲛᲣᲨᲐᲡ“ ᲒᲐᲛᲝᲪᲔᲛᲐ. ᲛᲗᲐᲕᲚ. № 1319.
ᲡᲐᲯᲐᲖᲔᲗᲝ ᲒᲐᲛᲝᲛᲪᲔᲛᲚᲝᲒᲐᲗᲐ ᲡᲢᲐᲛᲑᲐ, „ᲙᲝᲚᲔᲥᲢᲘᲕᲘ“, ᲙᲐᲛᲝᲡ Ძ. № 68.